ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №1

ქ. თბილისი **10.02.2020**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:**

1. **დავით მალაზონია** - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **გიორგი გიგიბერია** - ა(ა)იპ - ფონდ საერთაშორისო განათლების ცენტრის პროგრამების მენეჯერი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ნატალია შანიძე** - შპს „ათასწლეულის სკოლის“ მათემატიკის კათედრის ხელმძღვანელი, მათემატიკის მასწავლებელი - საბჭოს მდივანი;
4. **ქეთევან ნატროშვილი** - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე;
5. **მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ მასწავლებელი;
6. **ირმა ბარბაქაძე** - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;
7. **ავთანდილ აბდუშელიშვილი** - შპს „დამოუკიდებელი საერო გიმნაზია შავნაბადას“ დირექტორი;
8. **კახაბერ ფარცვანია** - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი;
9. **არჩილ სუმბაძე** - შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლის - თბილისის“ აკადემიური დირექტორი, სამოქალაქო განათლების მასწავლებელი;
10. **გრიგოლ მურღულია** - ა(ა)იპ - საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაციის დამფუძნებელი და თავმჯდომარე;
11. **რევაზ აფხაზავა** - ა(ა)იპ განათლების პოლიტიკის დაგეგმვის და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარე.

2. **სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

კახაბერ ერაძე - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენრტის დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი;

ნინო ჟვანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებელი;

ლალი შაიშმელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კონსულტანტი;

ლევან გოგიჩაიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

ნათია მჭედლიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სს ფინური საერთაშორისო სკოლა

ადმინისტრაციული მენეჯერი - თეა პაიჭაძე

იურისტი - თათია ზარქუა

შპს არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა ოცნება

სკოლის დირექტორი - ირინე ცაავა

სკოლის დირექტორის მოადგილე - სოფიო იმედაძე

ქ. თბილისის N220 საჯარო სკოლა

სკოლის დირექტორი - მანანა სამხარაძე

სკოლის დირექტორის მოადგილე - მარიამ გოგოჭური

4.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტები):

სს ფინური საერთაშორისო სკოლა

ქეთევან ბაცანკალაშვილი

მიხეილ ტეფნაძე

შპს არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა ოცნება

ნელი ნასყიდაშვილი

სალომე ცანავა

ქ. თბილისის N220 საჯარო სკოლა

ხათუნა ბარაბაძე

ეკატერინე კვირიკაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე დავით მალაზონია.

სხდომა გაიხსნა 17:00 საათზე, სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სს ფინური საერთაშორისო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა ოცნებაში გამხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. ქ. თბილისის N 220 - ე საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

ამის შემდეგ მან მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ იქნა წარდგენილი, ამიტომ დამტკიცდა წარმოდგენილი დღის წესრიგი.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

1. სს ფინური საერთაშორისო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა და მიხეილ ტეფნაძემ.

ექპერტმა ქ. ბაცანკალაშვილმა სხდომის დასაწყისში აღნიშნა რომ, ფინური საერთაშორისო სკოლის დაფუძნება იყო განსხვავებული შემთხვევა და მან ისაუბრა ამ პროექტის განხორციელების შესახებ. ექსპერტმა აღნიშნა, რომ 2019 წლის 23 აგვისტოს საქართველოს განათლების მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტროს და ფინეთის რესპუბლიკის განათლების და კულტურის სამინისტროს შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი. აღნიშნული მემორანდუმის საფუძველზე, სს ფინურმა საერთაშორისო სკოლამ სასწავლო პროცესის, ფინური მოდელის შესაბამისად, წარმართვის მიზნით, 2019 წლის 4 ნოემბრის N FIS/4/1 წერილით მიმართა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ხოლო, 2019 წლის 29 ნოემბერს მიიღო სამინისტროს MES 41901635280 წერილი იმის შესახებ, რომ სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტი არ იყო წინააღმდეგი სს ფინური საერთაშორისო სკოლის სასწავლო პროცესის დაწყებით საფეხურზე წარმართვისა, წარდგენილი ფინური სასწავლო პროგრამის-კურიკულუმის საფუძველზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში, სს ფინურმა საერთაშორისო სკოლამ წარმოადგინა პარტნიორობის ცნობა ფინეთის განათლების ეროვნული სააგენტოს მიერ კოორდინირებული სამთავრობო პროგრამის "Education Finland"-ის ოფიციალურ წევრთან "Polar Partners Ltd". აღნიშნული ორგანიზაცია წარმოადგენდა ფინეთის ერთ-ერთ საგანმანთლებლო ორგანიზაციას, რომელთან თანამშრობლობითაც შეიქმნა ფინური საერთაშორისო კურიკულუმი. ექსპერტის განმარტებით, აღნიშნული კურიკულუმის გამოყენებას გეგმავდა სს ფინური საერთაშორისო სკოლა დაწყებითი საფეხურის პროგრამაზე ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდებოდა, რომ ფინურ საერთაშორისო კურიკულუმში მაქსიმალურად იქნებოდა გათვალისწინებული ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სწავლა-სწავლების მიზნები და საგნების მიხედვით მისაღწევი შედეგები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 2019-2020 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა დამტკიცებული იყო სკოლის პრინციპალის მიერ და შემუშავებული ფინელ ექსპერტთა გუნდის მიერ შექმნილი ფინური საერთაშორისო სასწავლო გეგმის შესაბამისად. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლაში საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდებოდა "Polar Partners Ltd"-ის მიერ შექმნილ ფინურ კურიკულუმზე დაყრდნობით.

ექსპერტ ქ. ბაცანკალაშვილის განმარტებით, დაწესებულება მოსწავლეებს სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სავალდებულო საგნებს ამ სახით სთავაზობდა:

- ინგლისური ენა
- ქართული ენა
- გერმანული ენა (VI კლასიდან)
- მათემატიკა
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
- ეთიკა და მსოფლიო რელიგიები
- მუსიკა
- ვიზუალური ხელოვნება
- ხელობა/ხელსაქმე

- ფიზიკური აღზრდა
- საზოგადოებრივი მეცნიერებები (IV კლასიდან)
- ისტორია (მე-V კლასიდან)

ექსპერტის თქმით, ეროვნული სასწავლო გეგმისაგან განსხვავებით, ფინური კურიკულუმის მიხედვით ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ისწავლება არა როგორც ცალკე საგანი, არამედ სხვა საგნებთან ინტეგრირებულად. ისტ-ის ცალკეულ საგნებთან ინტეგრირებული სწავლების მეთოდები და სტრატეგიები გაწერილი იყო "Polar Partners Ltd"-ის მიერ შემუშავებულ ფინურ კურიკულუმში. ასევე, ნაცვლად საგნისა "მე და საზოგადოება", სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს "სოციალური მეცნიერებების" სწავლებას (IV, V, VI კლასები), რომელიც სრულად ფარავდა საგანის "მე და საზოგადოების" სასწავლო მიზნებსა და თემატიკას. გარდა ამისა, ფინური კურიკულუმი არ ითვალისწინებდა საგნის "ჩვენი საქართველო" ცალკე დისციპლინის სახით სწავლებას. საგნის მიზნები და მისაღწევი შედეგები ინტეგრირებული იყო საგანთან "ისტორია".

საბჭოს წევრმა გ. მურღულიამ აღნიშნა, რომ მიესალმებოდა ასეთი პროექტების განხორციელებას. შემდეგ დასვა კითხვა სკოლის მისიასთან დაკავშირებით, ვის ზრდიდა სკოლა, თუ საქართველოს მოქალაქეს ზრდიდა, მაშინ როგორ იყო წარმოდგენილი სწავლება ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიისა და საქართველოს გეოგრაფიის, რომელიც უზრუნველყოფდა როგორც საქართველოს მოქალაქის და ისე ნებისმიერი სხვა ქვეყნის მოქალაქის აღზრდასაც.

დაწესებულების წარმომადგენელმა ქალბატონმა, თ. პაიჭაძემ უპასუხა ბ-ნ გ. მურღულიას შეკითხვას, რომ რასაკვირველია ზრდიდნენ საქართველოს მოქალაქეებს, მან აღნიშნა რომ ფინური კურიკულუმი გამოირჩეიოდა საგნების ინტეგრირებით, მან ასევე აღნიშნა, რომ ფინური კურიკულუმი იძლეოდა შესაძლებლობას, მაქსიმალურად ყოფილიყო ყველა საგანში მოყვანილი საქართველოს შესახებ მაგალითები.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ პროგრამულ ნაწილთან დაკავშირებით დამატებით კითხვები. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონიათ.

ექსპერტმა მ. ტეფნაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სს ფინურ საერთაშორისო სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმის განსახორციელებლად 2019 წლის 01 ნოემბერს გაფორმებული ჰქონდა

ექვსწლიანი იჯარის ხელშეკრულება (2025 წლის 01 ნოემბრამდე) ფიზიკურ პირთან. აღნიშნული ხელშეკრულება დარეგისტრირებული იყო საჯარო რეესტრში. სასწავლო მიზნებისათვის განკუთვნილი ფართი მდებარეობდა ქალაქ თბილისში, ხახულის ქუჩა N8-ში მდებარე მიწის ნაკვეთსა (ს. კ. N01.72.14.011.222) და მასზე განთავსებულ შენობა ნაგებობაში, რომლის ფართიც შეადგენდა 546.28 კვ. მ.-ს. აღნიშნული ფართი წარმოადგენდა სარდაფს, ორ სართულსა და სხვენს. სარდაფში განთავსებული იყო სამედიცინო კუთხე და სასადილო, მეორე სართულზე - შენობაში შესასვლელი, 2 საკლასო ოთახი, მასწავლებელთა მოსასვენებელი, ერთი დამოუკიდებელი ადაპტირებული სველი წერტილისა და ვიდეო სამეთვალყურეო სისტემისთვის გამოყოფილი კუთხე, მესამეზე - 5 საკლასო ოთახი და ღია საბიბლიოთეკო სივრცე, ხოლო სხვენზე 1 საკლასო ოთახი.

ექსპერტის განმატებით სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, კლასში მოსწავლეთა რაოდენობა განსაზღვრული იყო 10 მოსწავლით. შენობაში მოწყობილი 6 საკლასო ოთახისათვის, დაწესებულებას უდასტურდებოდა 60 ინდივიდუალური მერხის, სკამისა და 6 დაფის ფლობა.

ასევე ექსპერტთა ჯგუფის წევრის თქმით, ამონაწერით განსაზღვრულ მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობის ფართზე არ იყო საათობრივი ბადით განსაზღვრული ფიზიკური აღზრდის აქტივობისთვის გამოყოფილი სივრცე, დარბაზი ან მოედანი. გამომდინარე აქედან, ფიზიკური აღზრდის პროგრამით განსაზღვრული მიზნებისათვის სს ფინური საერთაშორისო სკოლას 2019 წლის 06 დეკემბერს ექვსი წლის ვადით გაფორმებული ჰქონდა იჯარის ხელშეკრულება შპს საგურამოს საფეხბურთო სკოლასთან, რომლის მიხედვითაც ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, კვირაში 15 საათით სპორტ-კომპლექსი სპორტულ მოედანს დაუთმობდა დაწესებულებას.

საბჭოს წევრმა ბ-ნ ა. აბდუშელიშვილმა მიმართა დაწესებულებას კითხვით, როგორ მოხერხდებოდა მოსწავლეების ტრასპორტირება, რაზეც პასუხად დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ 2019 წლის 15 ოქტომბერს გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება ორ ფიზიკურ პირთან სატრანსპორტო საშუალებით დაწესებულების მოსწავლეების ტრანსპორტირების შესახებ და ასევე დაწესებულებამ აღნიშნა, რომ ორ თვეში აპირებდნენ ფართის ცვლილებას.

ექსპერტმა მ. ტეფნაძემ აღნიშნა, რომ სკოლის მომავალი გუნდი ერთი საერთო მიზნისთვის იყო გაერთიანებული, კეთილგანწყობილები იყვნენ ერთმანეთის მიმართ და გამოხატავდნენ ურთიერთპატივისცემას.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ დამატებით კითხვები. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონიათ.

საბჭომ იმსჯელა და მიიჩნია, რომ დაწესებულება აკმაყოფილებდა ავტორიზაციის ყველა სტანდარტს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სს ფინური საერთაშორისო სკოლის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 60 - ით განსაზღვრის საკითხი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ (სს ფინურმა საერთაშორისო სკოლამ) დააყენა შუამდგომლობა საბჭოს წევრებთან, იყო თუ არა შესაძლებელი გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო საბჭოს დასრულებისთანავე.

საბჭოს წევრებმა ერთხმად მიიღეს სკოლის მიერ დაყენებული შუამდგომლობა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის მეშვიდე პუნქტის საფუძველზე და ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრეს საბჭოს სხდომის დღე, 2020 წლის10 თებერვალი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 25-ე მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, სს ფინურ საერთაშორისო სკოლას (ს/კ404557234) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 60 - ით.

18:20საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება, 18:30საათზე, კი განახლდა.

2. **შპს არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა ოცნებაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნელი ნასყიდაშვილმა და სალომე ცანავამ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებზე. მან აღნიშნა მოსწავლეების განსაკუთრებული გულწრფელობა გასაუბრების დროს, მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით სკოლაში აქტიურად მუშაობდა ეკოლოგიის წრე და სამოქალაქო კლუბი. მე-7 და მე-8 კლასის მოსწავლეები ერთად, მე-9 და მე-7 კლასის მოსწავლეები ერთად, მე-10 და მე-9 კლასის მოსწავლეები ერთად გეგმავდნენ და ატარებდნენ საქართველოს კულტურული მრავალფეროვნების შესწავლისა და დაცვის ხელშეწყობის ღონისძიებებს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს, სასწავლო წლის დაწყების პირველივე თვეში, მიაწოდა ინფორმაცია სკოლის მიერ შემუშავებული და უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული დოკუმენტის: „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესებისა და პირობების შესახებ“.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, რომ საბჭოს წევრები იცნობდნენ დასკვნას და მხოლოდ ესაუბრათ გამოვლენილ ხარვეზებზე.

ექსპერტმა ნ. ნასყიდაშვილმა ისაუბრა პროგრამული ნაწილის კონკრეტულად მე-4 ქვესტანდარტის დარღვევაზე. მან განმარტა, რომ სკოლის წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის XX თავი ეთმობოდა სკოლაში მოსწავლის შეფასების სისტემას.

შემუშავებული იყო დამატებითი სასწავლო საგნების შეფასების პრინციპები. კლასისა და საფეხურის დაძლევისა და მოსწავლის მიერ გაცდენილი შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესი. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმის 55-ე გვერდზე ჰქონდა ასეთი ჩანაწერი, რომელიც შეეხებოდა წლიური გამოცდის დანიშვნას მხოლოდ საბაზო ან საშუალო საფეხურზე. ექსპერტის თქმით, თუ სკოლას სურდა საგნის წლიური გამოცდის დანიშვნა, მას უნდა განესაზღვრა სასწავლო წლის დაწყებამდე რომელ კლასში, რომელ საგანში ჩაუტარებდა ამ გამოცდას. რაც იმაზე მიუთითებდა, რომ ეს იყო ამონარიდი ეროვნული სასწავლო გეგმიდან და სკოლას არ ჰქონდა დაზუსტებული გეგმავდა თუ არა წლის ბოლოს რომელ კლასებში და რომელ საგნებში ჩაატარებდა გამოცდას/გამოცდებს.

ექსპერტმა აღნიშნა რომ, მშობელთა და მოსწავლეთა ფოკუს ჯგუფებით ირკვეოდა, რომ მათთვის ჩვეულებისამებრ წლის ბოლოს ჩასატარებელი გამოცდების შესახებ ინფორმაცია მხოლოდ მეორე სემესტრიდან იყო ცნობილი. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში მათ ვერ დაასახელეს თუ რომელ კლასებში და რომელ საგნებში ჰქონდათ მიმდინარე სასწავლო წელს გამოცდები. რაც შეეხება შეფასების კრიტერიუმების გამჭვირვალობას, არცერთ მშობელს არ უთქვამს, რომ მათი შვილების ცოდნისა და უნარების შესაფასებლად მასწავლებლები რაიმე კრიტერიუმებს ეყრდნობოდნენ, ხოლო მოსწავლეებიდან, მხოლოდ ერთმა, მეშვიდეკლასელმა მოსწავლემ შეძლო სხვადასხვა უნარის შესაფასებელი კრიტერიუმების ზუსტად ფორმულირება, რომელსაც მასწავლებელი მათ წინასწარ აცნობდა ხოლმე. ექსპერტების განმარტებით მათ ვერ ნახეს ვიზუალური დათვალიერებისას შეფასების კრიტერიუმები საკლასო ოთახებში, რაც იძლეოდა კრიტერიუმების გამჭვირვალობის ეჭვქვეშ დაყენების საფუძველს.

ექსპერტთა განმარტებით, ხარვეზებთან დაკავშრებით სკოლას მიეცა რეკომენდაციები, რომლებიც მათ სრულად გაიზიარეს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ დამატებით კითხვები. საბჭოს წევრმა, ი. ბარბაქაძემ მიმათრა დაწესების წარმომადგენელს კითხვით რას ეფუძნებოდა დაწესებულების ამგვარი გადაწყვეტილება, ჰქონოდათ გამოცდებთან დაკავშირებით ასეთი მოქნილი განრიგი. დაწესებულებამ განმარტა, რომ ეროვნულ სასწავლო გეგმაში იყო ჩანაწერი რომელიც სკოლას აძლევდა იმის საშუალებას რომ ჩაეტარებინათ გამოცდები ორ საგანში სამი წლის შუალედით, მაგრამ არ ჰქონდათ სასკოლო სასწავლო გეგმაში შეტანილი, ექსპერტთა რეკომენდაციის შემდეგ ეს ხარვეზი გამოასწორეს.

ექსპერტ ნ. ნასყიდაშვილის განმარტებით ვებ გვერდთან დაკავშირებით, ჰოსტინგისა და დომენის ფლობაზე სკოლას გაფორმებული ჰქონდა შეთანხმება შპს serv.ge - თან, რაც ასევე დასტურდებოდა საგადახდო დავალებით, თუმცა სკოლა ვერ იღებდა აღნიშნულ მომსახურებას და არ ჰქონდა ვებ გვერდი. დაწესებულების განმარტებით, ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა ქსელის ცვლილება, ხარვეზი გამოსწორდა და სკოლას აქვს ვებ გვერდი, რომელიც საბჭოს სხდომის მიმდინარეობის დროს გადამოწმდა.

ექსპერტმა ასევე გაამახვილა ყურადღება სკოლის ვიდეო მეთვალყურეობის სისტემის შესახებ. მან აღნიშნა რომ სკოლას გააჩნდა 6 ვიდეო კამერა. მათგან ერთი აკონტროლებდა სკოლის გარე პერიმეტრს. სკოლის შიდა პერიმეტრს აკონტროლებდა ხუთი ვიდეოთვალი. შიდა მეთვალყურეობის კამერებიდან ერთი განთავსებული იყო კომპიუტერული ლაბორატორიის ოთახში, 2 კამერა დამონტაჟებული იყო მეორე სართულზე , ხოლო პირველი და მესამე სართულის დერეფნებში განთავსებული იყო თითო-თითო კამერა. სკოლის შენობისა და საკლასო ოთახების განლაგებიდან გამომდინარე აღნიშნული კამერებით სრულად არ ხდებოდა სკოლის, როგორც შიდა ასევე გარე პერიმეტრის კონტროლი. ვიდეო სათვალთვალო სისტემა განთავსებული იყო სამასწავლებლოში, რომელიც, მიმდინარე სარემონტო სამუშაოებიდან გამომდინარე არ იყო ჩართული.

ექსპერტთა განმართებით სკოლას ვიზიტის პერიოდში მიეცა რეკომენდაცია ვიდეო მეთვალყურეობის სისტემების გამართვასთან დაკავშირებით. დაწესებულებამ გამოასწორა აღნიშნული ხარვეზი, რისი დამადასტურებელი დოკუმენტაციაც საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ დამატებით კითხვები. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონიათ.

ექსპერტ ნ. ნასყიდაშვილმა ისაუბრა დაწესებულებაში არსებულ ადამიანურ რესურსზე. ვაკანსიის შესახებ ცნობილი ხდებოდა სასკოლო საზოგადოებისათვის და სხვა დანარჩენი დაინტერესებული პირებისათვის სიტყვიერი ფორმით თათბირზე გამოცხადებით, აგრეთვე ვაკანსიის წარდგენით აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამის დეპარტამენტში. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია განეთავსებინათ მასწავლებელთა ვაკანსიების განცხადებები pedagogi.ge- ზეც.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ დამატებით კითხვები. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონიათ.

საბჭოს თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად არ ჩათვალეს მოცემული ხარვეზები ყოფილიყო შპს არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლისთვის ავტორიზაციის გაუქმების საფუძველი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 11

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა ოცნების (ს/კ: 221290886) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

3. ქ. თბილისის N220-ე საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ხათუნა ბარაბაძემ და ეკატერინე კვირიკაშვილმა.

ქალბატონმა ხათუნა ბარაბაძემ საბჭოს სხდომის დასაწყისში განაცხადა, რომ 220 - საჯარო სკოლა დაფუძნებული იყო მინისტრის ბრძანებით და აღნიშნულ სკოლაში ვიზიტი განხორციელდა 6, 7 და 8 ნოემბრს. ექსპერტმა თავდაპირველად ისაუბრა სკოლის პროგრამული ნაწილის შესახებ და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ცენტრის მიერ ექსპერტებთან გადაგზავნილ დოკუმენტებსა და ადგილზე გაცნობილ დოკუმენტაციას შორის იკვეთებოდა გარკვეული უზუსტობები. თუმცა, ადგილზე შესწავლისას ცხადი გახდა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შეესაბამებოდა სტანდარტს. შესწავლილი დოკუმენტაციის მიხედვით, სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი არ იყო სრულყოფილი და მკაფიო, მე-3 და მე-12 კლასებში ფიქსირდებოდა 40 წუთიანი გაკვეთილები, რასაც ეროვნული სასწავლო გეგმა არ ითვალისწინებდა.

ქალბატონმა ხათუნა ბარაბაძე გადავიდა მეორე საკითხზე და ისაუბრა სკოლის მატერიალური რესურსის შესახებ. მან განმარტა, რომ სკოლამ ვერ წარმოადგინა შენობის ტექნიკური პასპორტი და საჯარო რეესტრიდან ამონაწერი, ვინაიდან შენობა არ იყო ექსპლუატაციაში მიღებული. რეალურად ჩანდა, რომ 220 - ე საჯარო სკოლა, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, არ არსებობდა. როგორც ქალბატონმა ხათუნამ აღნიშნა, ოპტიმიზაციის დროს მოხდა მე-2 და მე-3 საჯარო სკოლების შერწყმა და არქიტექტურულ პროექტში შეიტანეს ცვლილებები, რაც არ იყო ზედამხედველობის სამსახურთან შეთანხმებული, ამიტომ მოხდა მე-3 სკოლის დაჯარიმება 15 000 ლარით,

რომელიც ვიზიტის პერიოდში არ იყო გადახდილი. ექსპერტები გაეცნენ ზედამხედველობის სამსახურის დასკვნას ამის შესახებ.

ვინაიდან შენობა არ იყო ექსპლუატაციაში მიღებული, ექსპერტთა მხრიდან მაინც განხორციელდა შენობის დათვალიერება. სკოლას გააჩნდა 10 ლიფტი, 12 საკლასო ოთახი. თორმეტივე საკლასო ოთახისთვის იყო მასწავლებლის მაგიდა და სკამი გათვალისწინებული. 10 საკლასო ოთახში განთავსებული 30 ერთადგილიანი მერხი და 30 სკამი, ხოლო ორ საკლასო ოთახში კი 35 ერთადგილიანი მერხი და 35 სკამი. სულ 370 ერთადგილიანი მერხი და ამდენივე სკამი. სკოლას ჰქონდა დასაწყობებული კიდევ 93 ერთადგილიანი მერხი და 100 სკამი. თუმცა, დოკუმენტურად (მიღება-ჩაბარების აქტებით) დასტურდებოდა 528 მერხის და სკამის ფლობა. ყველა საკლასო ოთახში კედელზე დამაგრებული იყო სასკოლო დაფა.

სკოლა გეგმავდა ორ ცვლაში მუშაობას. ცხრილის მიხედვით, პირველ ცვლაში იქნებოდა 1-12 კლასები, ხოლო მეორე ცვლაში 1-6 კლასები. მიუხედავად ფაქტობრივი და დოკუმენტური მდგომარეობის სხვაობისა, არსებული ინვენტარი საკმარისი იყო ჯამში (ორივე ცვლაში) 530 მოსწავლის მისაღებად.
ამის გარდა, დაწესებულებაში ოთახები განკუთვნილი იყო: ბიბლიოთეკისთვის, სამასწავლებლოსთვის, სამედიცინო საჭიროებისთვის, დარაჯისთვის, სასადილოსთვის, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებისთვის. სკოლას გააჩნდა დამხმარე ოთახი და 2 დიდი ფართი (სარეკრიაციო ზონა) რომლებიც სავსებით შესაძლებელი იყო სკოლას გამოეყენებინა ფიზიკური აღზრდისა და საკლუბო მუშაობებისთვის. ვიზიტის დროს ზემოაღნიშნული ოთახები არ იყო ათვისებული და მოწყობილი.

საბჭოს წევრმა დასვა კითხვა სკოლის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, რაზეც ისაუბრა სკოლის წარმომადგენელმა და განმარტა, რომ სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა უსაფრთხო გარემოს, შენობის მხოლოდ რამდენიმე ზონაში არ იყო განთავსებული სამეთვალყურეო კამერები: კერძოდ, არ კონტროლდებოდა კიბის უჯრედები, სპორტულ დარბაზთან და სააქტო დარბაზთან მისასვლელი უჯრედები. სკოლას ჰქონდა 7 ერთეული შიდა ხედვის და 7 გარე ხედვის კამერა. გარე ხედვის კამერები აკონტროლებდნენ სკოლის მთავარ შესასვლელს და პერიმეტრს. მან ასევე აღნიშნა, რომ სკოლას აქვს დიდი ბუფეტი (310კვ.მ), დიდი სპორტული მოედანი, რომელსაც სსსმ მოსწავლეებისათვის აქვს ცალკე გასახდელები. ეს არის საუბნო სკოლა, რომელიც მოემსახურება თემს.

ექსპერტის განცხადებით, სკოლას გააჩნდა ლაბორატორიაც და ბიბლიოთეკაც, მაგრამ ლაბორატორია არ იყო გახსნილი, თუმცა სკოლამ წარმოადგინა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტები (მიღება-ჩაბარების აქტები), რაც ასევე დადასტურდა ვიზუალური დათვალიერებითაც. რაც შეეხება ბიბლიოთეკას, სკოლას ჰქონდა ბიბლიოთეკისთვის განკუთვნილი ფართი, რომელიც ვიზიტის დროს არ ფუნქციონირებდა. ბიბლიოთეკაში სამკითხველო და წიგნსაცავი სხვადასხვა სივრცეში იყო განთავსებული. ბიბლიოთეკაში იყო ყველა კლასის და ყველა

საგნის გრიფირებული სახელმძღვანელოები. სკოლა გეგმავდა ბიბლიოთეკის შევსებას სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურით.

სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლაში არსებული კომპიუტერები ვიზიტის პერიოდში ქსელში ჩართული არ იყო, თუმცა უახლოს ხანში სკოლა ამ პრობლემას გადაჭრიდა.
ექსპერტმა ხათუნა ბარაბაძემ აღნიშნა, რომ ვინაიდან სკოლის შენობა ვიზიტის მომენტისთვის არ იყო მიღებული ექსპლუატაციაში, ვერ მოხერხდა საევაკუაციო გეგმების გაკეთება და ვერც წყლის აბონენტად დარეგისტრირება. შესაბამისად, ვიზიტის დროს დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა სკოლაში ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრული საევაკუაციო გეგმები, რომელსაც ამზადებს შესაბამისი უფლებამოსილი სამსახური. სკოლის შენობებში ყველა სართულის დერეფანში დამონტაჟებული იყო ხანძარსაწინააღმდეგო დეტექტორები, რომლებიც თამბაქოს კვამლზეც კი რეაგირებდა. სკოლას ჰქონდა ასევე სამედიცინო ოთახი, თუმცა ვიზიტის დროისთვის იგი არ იყო სათანადოდ აღჭურვილი.
ექსპერტმა ხათუნა ბარაბაძემ ხაზი გაუსვა სკოლის წარმომადგენლების კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას და მყისიერ რეაგირებას ექსპერტთა მხრიდან გაცემულ რეკომენდაციებზე. მან განაცხადა, რომ სკოლას ხელშეკრულება გაფორმებული ჰქონდა 19 მასწავლებელთან, მათგან 9 უფროსის სტატუსით, 4 მაძიებელი და 6 უსტატუსო მასწავლებელი არ იყო სქემაში ჩართული. სკოლას არ ჰქონდა ვებგვერდი და მხოლოდ ფეისბუქგვერდი ასრულებდა საკომუნიკაციო ფუნქციას.
პსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ N99/ნ ბრძანების 22-ე მუხლის მე-10 პუნქტის მიხედვით საბჭოს წევრებმა იმსჯელეს საკითხის გადატანის შესახებ და მიიღეს გადაწყვეტილება 220-ე საჯარო სკოლის საკითხი გადადებულიყო არაუგვიანეს 19 თებერვლისა.
დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შედეგად სხდომა 19:50 საათზე დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
დავით მალაზონია

მდივანი
ნატალია შანიძე